# სახალხო გაზეთი

№ 996 ხუთშაბათი, 19 სექტემბერი 1913 წ. № 996

ტელეფონი № 12-29

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სახალხო გაზეთი
უფასოდ [illegible] 3 მან.
თვეში ღირს 75 კაპ.
მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

15 სექტემბერს, [illegible] გარდაიცვალა

**აზნ. ნარიმან ვახტანგის ძე ჩხეიძე,**

[illegible] ქვრივი ელისაბედ ვასილის ასული, ვაჟები: ალექსანდრე და ბესარიონი, რძლები: ქსენია მელიტონის ასული და მარიამ (მაკიკა) ლევანის ასული და ასულნი: ქეთევან ელენტისა, ოლღა (სონია) ბეჟუაშვილისა. შაშიკო და პეპელა. გამოსვენება დანიშნულია 21 სექტემბერს, დილით, შაბათს, სოფელ ობჩას (სადგური სვირი), საკუთარ სახლიდან, საგვარეულო სასაფლაოზე. 1487

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 2.

ხუთშაბათს, 19 სექტემბერს, ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენ იქნება ორიგინალური პიესა ნ. შიუკაშვილისა.

## ცისკრის ნათელა [?]

დრამა 4 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი შოთაძე, ჩხეიძე; ბ-ნნი გუნია, იმედაშვილი, ბარველი, შალიკაშვილი, ხონელი და სხვ.

დასაწყ. საღამ. 8 ს. რეჟისორი მ. ქორელი. ადმინ. ქართ. დრამ. საზოგ.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად „ოიდიპოს მეფე“, „ინსტინქტი“, „კულტურული მკვლელობა“, „ლაბირინტი“ და სხვ 1473

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

1913/4 წ.წ. სეზონის გახსნა.

შაბათს, 21 სექტემბ., ქართ. სახალხო წარმ. დგ. მმართ. წრის მიერ მსახ. ქ-ნ ა. ქიქოძის და კ. ა. ყიფიანის მონაწილეობით წარმ. იქნება:

**1) მსხვერპლი**, დრ. იოს. გედევანიშვილისა, მხოლ. 1 და 3 მ. | **2) უბედური დღე**, ვოდ. 1 მ. ბალანჩივაძისა.

მონაწილეობენ: „წრის“ სცენის-მოყვარეთა მთელი დასი და თანამშრომელთა ჯგუფი. დასაწყ. საღ. 8 ნახ. ს. ადგილების ფასი 5—50 კ. რეჟის. ალ. წუწუნავა, თანაშემწე ნ. ჭანკვატაძე. „წრის“ ადმინის. შემდეგი წარმოდგენა 26 ენკენისთვეს. 1486



პირველ-ხარისხოვანი

## დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზამთრო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 19 სექტემბერს, 1913 წ. გაიმართება

**დიდი საგასტროლო წარმოდგენა**

მეორე გასტროლი საქვეყნოდ ცნობილის, ველოსიპედზე შეუდარებელის მოსიარულის, ვირტუოზის **ჩისტერ დიკისა**, რომელიც შეასრულებს იშვიათ და გონებისათვის მიუწდომელ ნომრებს. სანახაობათა-სანახობა! უდიდესი ატრაქციონი! ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა! ყველაგან ფურორი! სენსაცია! აღტაცება! ტაშისცემა! ოთხ და ექვს სართულიან ველოსიპედზე „ტანდემ“-ზე ცარკში. ჩისტერ დიკი საზოგადოებას აღტაცებაში მოიყვანს! დასასრულ „საბედისწერო გადახტომა“—სალტო-მორტალი ველოსიპედით, ცირკის თოლში განავარდება დატვირთულ ეტლზე. მოსკოვში აკვარიუმის ბაღში ჩისტერ დიკის გასტროლებს დიდ-ძალი ხალხი ესწრებოდა. დირექცია სთხოვს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომლის ყურადღება დაიმსახურა, რაც ცირკში მოსიარულე ხალხის რიცხვით აშკარაა, დარწმუნდეს ფენომენალურ ხელოვნების სინამდვილეში! ამ საღამოსვე მონაწილეობს „4 ეშმაკი“ და ყველა პირველ-ხარისხოვანი არტისტები. დაწვრილებით აფიშებზი, დღეის ოვის კონტრამარკები არ გამოდგება.

631 დასაწ. საღამ. 8 ნახევ ს. დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.

**ნაძალადევის** სახალხო სახლის გამგეობა იწვევს მსურველთ ქალთა და ვაჟთ, რომელთაც სურთ ნაძალადევის სახალხო სახლში მიიღონ მუდმივი მონაწილეობა ქართულ წარმოდგენებში. პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე ნაძალადევის სახალხო სახლში.

**სეზონი გაიხსნება კვირას, 22 სექტემბერს.**

ნაძალადევის სახალხო სახლის გამგეობა
თავმჯდომარე ი. სუხიაშვილი. 1482

## ტფ. ქართული ფილარმონიული საზოგადოების სამუსიკო სკოლა

ყოროღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6.

**მოწაფეთა მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან** ყოველ დღე კვირა-უქმის გარდა, დილის 10 საათიდან 2 საათამდე და საღამ. 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში. სპეციალურ საგნებზე მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—**ბ. მ. ამირაჯიბისა, ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, გ. მ. ქიქოძე, ე. ვ. ფოგელისა** და **თ. ს. შაბუროვისა**. სკრიპკაზე: **მ. ტ. ვასილიევი**. ვიოლონჩელი—**ე. ნ. კაპელნიცკი**. კონტრაბასი—**მ. ი. შერშოვი**, სიმღერა, solo (ხმის დაყენება და გავარჯიშება და ოპერების შესწავლა) **ნ. ნ. სოლოვიოვა-სტრახოვა** და **ე. ბროჯი**. ელემენტ. თეორია, სოლფეჯიო (ნოტების კითხვა) ჰარმონია და ენციკლოპედია—**ზაქ. პ. ფალიაშვილი**, ხოროს კლასსი—**ზ. ი. ჩხიკვაძე**. ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად: ფორტოპიანოზე **ე. ი. პოლტარაცკისა** და **ქნ. მ. გ. ციციშვილისა**. სკრიპკაზე,—**ვ. მ. ბროდსკი**. სწავლის ფასი: ფორტოპიანოსი 65 მ. წელიწადში, სკრიპკა,—65 და 75 მ. ვიოლონჩელი 65 მ. კონტრაბასი 50 მ., სიმღერა (solo) 75 მ. თეორიის კლასებში 15 მ. წელიწადში.

სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარ წლობით წინდაწინ. ხმების გასინჯვა, საკლესიო გუნდში შესასვლელად დანიშნულია ორშაბ. და ხუთშაბათ. საღ. 5—7 ს.

**სწავლა დაიწყო 1 სექტემბერს.** 1429

სახაზინო **ახალი კლუბი** თეატრი

პარასკევს, 20 სექტემბერს, 1913 წელს

## უკანასკნელი გასტროლი

[illegible]

**არტემის კულონასი**

[illegible] 1483.

**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება**

[illegible]

გორგაძე ს. ბაგრატის ტაძარი . 10 „
ე. ქ. წმ. დავით აღმაშენებელი მეფე ქართველთა . . 5 „
ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ისტორია . . 2 მ. —
თამარაშვილი მიხ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის 2 მ. —
[illegible] ნი საქართველოში . . 10 „
იმერეთის ისტორია . . 30 „
კარიჭაშვილი დ. წიგნის ისტორია 20 „
— საქართ. მოკლე ისტორია 40 „
— საქართველოს მე-XII საუკ. 40 „
— სვიმონ მეფე . . 10 „
— როსტომ მეფე . . 10 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

## შრომები და ნაწარმოები დ. ი. არაყიშვილისა:

ქართული სიმღერების კრებული სკოლებისთვის, ქართული მუსიკის წიგნები, ქართული სიმღერები ფ. პ. დასამღერებლად, რომანსები და სახორო სასიმღეროები რუსულსა და ქართულ ენაზე იყიდება ყველა წიგნისა და მუსიკის მაღაზიაში. 356




**გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული**

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული დ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

**ფასი 1 მანეთი**

## ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსები ინჟინერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწად-მზომელო, საალმშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწად-მზომელო და საალმშენებლო განყოფილებებზე მსურველთ იღებენ. **მეცადინეობა 1 ოქტომბერს** დაიწყება. პროგრამისა დ პირობებისათვის საჭიროა 4 შვიდ-კაპეკიანი მარკა. პირადად მოლაპარაკება შეიძლება საღამ. 4—8 ს., დუშეთის ქ. № 4, ბინა მე 2. 619

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებაა.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ხერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და შილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა. შიოგვარიანი სიფ... ფ. 1035

## საავადმყოფო [?]

[illegible] 1220

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ახვლედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ზელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოჟოვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ, და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ. დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში**, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნ. ხ. საათ.

**ახპისოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ და კვირ. 3—4 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**ხანდამოვი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. იოსელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეიბაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკაძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით** 1462

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი,

**პეტერბურგის** სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე, ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო მის. ბედლევიზისა [?]

[illegible] 1023

**ექიმი ი. ზ. გძელიშვილი**

[illegible] 588

**ექიმი ი. ი. მინასიანი**

[illegible] იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა დ კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

## ტფილისი, 19 სექტემბერი

**სასოფლო თანხები**

იქნება ბევრმა არც კი იცოდეს, რომ სოფლის საზოგადოებებს აქვთ საკმაოდ დიდი თანხები. სოფელში მას „მაღაზიის“ ფულს ეძახიან. დანიშნულება ამ თანხებისა ის არის, რომ რაიმე განსაკუთრებულ უბედურობის დროს დახმარება გაუწიონ ხოლმე სოფლის საზოგადოებებს. მაგრამ დანიშნულება დანიშნულებადა რჩება და ხალხის ფული სრულიად უმოძრაოდა აწყვია. ამასა ჰგრძნობენ არა მარტო თვით სოფლელები, არამედ ოფიციალურ დაწესებულებათა წარმომადგენლებიც. 1912 წლის 1—6 ნოემბერს ტფილისში გაიმართა მებამბეობის კრება, რომელმაც ამ თანხების შესახებ ფრიად საყურადღებო რეზოლუცია გამოიტანა. დ. ვ. ბეზობრაზოვმა აღძრა საკითხი, რომ ეს თანხები, სახელმწიფო ბანკის შემწეობით, გადაეცეს წვრილი კრედიტის საზოგადოებებს.

ბ ნ ბეზობრაზოვის წინადადებას მოწინააღმდეგენი გამოუჩნდნენ. ბ-ნი ა. ა. პავლოვი ამტკიცებდა, მაგალითად, შეუძლებელია ის ფულების საკრედიტო ამხანაგობებს გადაეცეს, რადგანაც საკრედიტო ამხანაგობა რამდენიმე წევრისაა და ფული კი მთელი საზოგადოებას ეკუთვნისო. ეს მოსაზრება, როგორც მკითხველიც მიჰხვდება, ყოველ-გვარ საფუძველსაა მოკლებული. ჯერ ერთი, ფაქტიურად სოფლის უდიდესი ნაწილი საკრედიტო ამხანაგობის წევრია ხოლმე. თუ სადმე ეს ასე არ არის, მხოლოდ იმიტომ, რომ საკრედიტო ამხანაგობას პატარა თანხა აქვს და ყველა მსურველს ვერ აკმაყოფილებს. ძნელად შეიძლება სოფელში გამოიძებნოს ისეთი ადამიანი, რომელსაც თავისი მეურნეობის გაუმჯობესება არ უნდოდეს და კიდეც არ მოახერხოს, საჭირო თანხა რომ ჰქონდეს. ამის გარდა, ფული საკრედიტო ამხანაგობას საჩუქრად ხომ არ მიეცემა? იგი მიბარებული იქნება და ამაში განსაზღვრულ სარგებელსაც მიიღებს სოფლის საზოგადოება. ამ უკანასკნელისთვის უფრო სასარგებლო იქნება ფულის მიბარება საკრედიტო ამხანაგობებში, რადგანაც, ჯერ ერთი, იგი სოფლის საერთო კეთილ-დღეობას აწევს და, მეორეც, მეტს სარგებელს მიიღებს.

საკრედიტო ამხანაგობას შეუძლიან უფრო შეღავათიან პირობებში მიიზაროს ფული. ამიტომ ბ-ნ პავლოვის მოსაზრება უარყოფილი უნდა იქმნას.

ამ ზომას შეუძლიან დიდი დახმარება გაუწიოს სოფელს. საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით უფრო ადვილია დახმარების აღმოჩენა უბედურობის დროს. დღეს, მაგალითად, დასავლეთ საქართველოში შიმშილობაა მოსალოდნელი. საკრედიტო ამხანაგობანი სახელმწიფო ბანკიდან სესხს თხოულობენ შეღავათიან პირობებში მაშინ, როდესაც სოფლის თანხები სრულიად უსარგებლოდ აწყვია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შიმშილობის დროს საკრედიტო ამხანაგობა დიდს დახმარებას გაუწევდა დამშეულ რაიონებს.

ნორმალურ პირობებშიაც სასოფლო ფულის გადაცემა იმით იქნებოდა კარგი, რომ გძელ-ვადიანი სესხის მიცემა მოხერხდებოდა. გრძელვადიანი სესხი კი საკრედიტო ამხანაგობებს მოაღონიერებდა და სოფლის მეურნეობის აყვავებასაც ხელს შეუწყობდა.

კრებამ რეზოლუცია გამოიტანა და ბ-ნ ბეზობრაზოვის წინადადება მიიღო. საკითხავია, მიიღებს ვინმე მხედველობაში აძ რეზოლუციას, თუ იგი დარჩება „ხმად, მღაღადებლისად უდაბნოსა შინა"? ვაი თუ ამ რეზოლუციასაც ისეთივე ბედი ეწვიოს, რანაირიც საზოგადოდ ყველა უსარგებლო რეზოლუციას ეწვევა ხოლმე?

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **დეპუტაცია.** საქართველოს ექსარხოსის ორმოცის დღის გარდაცვალების თავზე დასასწრებლად პეტერბურგს მიემგზავრება ცალკე დეპუტაცია, რომელშიაც შედის ეპისკოპოსი ანტონი, რექტორი სემინარიისა არქ. იოროთეოსი და დეკ. პაშკევიჩი.

✦ კვირას, 22 სექტემბერს ზუბალაშვილების სახალხო თიატრში **გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო დილა.** სხვათაშორის კ. ი. დოდაშვილი წაიკითხავს მეტად საინტერესო ლექციას: „მოგზაური და სასახლის მოშაირეები ძველ საქართველოში", ვეფხვის ტყაოსნის კითხვის მუსიკალური დემონსტრაციით მე-XII და მე-XVII საუკუნოებში.

✦ ჩვენი თანამემამულე, **ახალგაზდა მემუსიკე ბ-ნი ირაკლი ჯაბადარი ამ ჟამად პარიზშია.** მას განზრახვა აქვს აძ ზამთარს ქართულ-ევროპიულ კონცერტი გამართოს და გულმოდგინედ მუშაობს რათა ეს პირველი გამოსვლა ქართული მუსიკისა პარიზის საზოგადოების წინაშე მის (ქარ. მუსიკის) შინაგან ღირსების შესაფერ აღსრულებაში გამოიჟღვას. იგი დაახლოვებია იქაურ მუსიკის მესვეურთ და მათს ინტიმურ წრეშიაც შეუსრულებია რამდენიმე ქართული ნომერი. დამსწრენი დიდად დაუინტერესებია ქართული მუსიკის უცხო სიმშვენიერეს, უცნობ ხელოვნებით გამოთქმულს ჩვენი ნიჭიერი მემუსიკის მიერ და კიდევაც დიდის ხალისით შეუთავაზნიათ ჩვენი თანამემამულესათვის დახმარება კონცერტის მოწყობის საქმეში.

✦ ამბავი მოვიდა „საქართველოში ქლექისაგან გარდაიცვალა ახალგაზრდა სტუდენტი გიორგი გულბაათი". მას სულ რამდენიმე თვეში უნდა დაემთავრებინა საექიმო ფაკულტეტი, მაგრამ უწყალო ბედმა არ დააცალა საცოდავს და ჩრდილოეთის სუსხმა სიცოცხლე მოუსპო. გვრწამს, რომ სამშობლო ქვეყანამ საუკეთესო და გულწრფელი შვილი დაჰკარგა მის მომავალისათვის თავდადებული. მას ღრმადა სწამდა ჩვენი ერის ხსნა და ამ იმედით, და მისდამი აღფრთოვანებულის სიყვარულით, დალია სული. და ნუ მოკვდება ეგ იმედი ახალგაზოობის გულში. ხოლო, ჩვენ კი საუკეთესო მეგობარი დავკარგეთ, რომელიაც ჩვენი გული წმინდა ამხანაგურის გრძნობით და სისპეტაკით აღავსო. დიდხანს ვატარებთ მის ხატებას, გულზე მისვენებულს, ვით სიმბოლოს მეგობრობისას. დე მოისვენოს შენმა დაუცხრომელმა სულმა!.. ნ. ჩხეიძე ა. პაპავა.

✦ **ამიერ კავკასიის რკინის გზის კონტროლის** რევიზიის მოსახდენად დღეს პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვა რევიზორი იაროვიცკი.

✦ **წესიერ დასვენების** სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის გუშინ და გუშინ წინ მერვე და მეცხრე უბანში 60 ვაჭარს შეუდგინეს ოქმი.

✦ **ა. ნ. მილოვი,** ტფ. ვაჭართა მამასახლისი, ტფილისს დაბრუნდა და თვის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **მატარებელი-საყინულე** ტფილისიდან პეტერბურგსა და მოსკოვს ხვალ გაემგზავრება.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ მოსკოვის ქალაქის გამგეობისაგან მიიღო ცნობები მოსამსახურეთა შტატებისა და სასალახოს შესახებ.

✦ **უწმ. სინოდმა** 2000 მანათი გადასდო რიყის ქუჩაზე აგებულ ეკკლესიის ხარჯების გასასტუმრებლად ხოლო 1000 მანეთი საქართველოს საექსარხოსოში წიგნების გამოცემის საქმისათვის.

✦ **ოზურგეთის მაზრის უფროსი** პოლკოვნიკი ზაკუსოვი თახამდებობიდან გადააყენეს და სამართალშიკ მისცეს.

✦ ბათომის მატარებლის დამსხვრევის თაობაზე **კავკასიის რკინის გზის უფროსი შემდეგს დამატებითი ცნობებს იძლევა:** 16 სექტემბერს, დასის 2 ნახ. ს., სადგურებსა ლეუშკოვსკაიასა და სოსიკას შორის № 3 ფოსტის მატარებლის დამსხვრევის დროს მოკვდა 35 კაცი დაშავდა 50. დაშავებული არიან ფოსტას მოხელენი, მოსამსახურენი, დამცველნი და მესამე კლასის ვაგონის მგზავრები. გზა ბოროტ-გამზრახველებს გაუფუჭებიათ. ვაგონების დამტვრევის შემდეგ ზოგიერთ მგზავრს დაუნახავს 4 კაცი, რომელნიც მაშინვე მიმალულან. უბედურობის ადგილას იპოვეს გასაღები, არაყის ბოთლი, ნამცეცები საუზმისა. დაშავებულნი სანიტარული ვაგონებით როსტოვსა და სადგურ კავკაზსკაიას წაიყვანეს. უბედურების მიზეზის გამოსაკვლევად გზათა სამინისტრომ გაგზავნა ექსპლოატაციის ინსპექტორი იაკოვლევი.

✦ **ქალაქის 1914 წლის ხარჯთაღრიცხვის** განხილვას ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისია 19 სექტემბრიდან შეუდგება.

✦ **საიჯარო სტოლის** საქმეთა გამო 16 სექტემბერს ქალაქის საბჭოს კრებაზე შეკითხვა მეიტანა ხმოსახმა ა. ს. ძაბოვმა. მეორე დღეს, 17 სექტემბერს, სტოლის გამგემ კ. თ. ხახანაშვილმა ქალაქის გამგეობას ქაღალდი წარუდგინა, რომლითაც სთხოვა დროებით გადაეყენებინათ იგი თანამდებობიდან და მთელის საქმის რევიზია მოეხდინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში თხოულობდა საშუალება მიეცათ იმისი, რომ თვითვე აღედგინა თავისი სახელი. ქალაქის გამგეობამ ბ-ნ ხახანაშვილის თხოვნა დააკმაყოფილა და გამგეობის წევრს მ. ნ. ათაბეგოვს დაავალა, მოახდინოს რევიზია საიჯარო სტოლის საქმეებისა.

✦ **ჯვარის მამის ეკლესია,** რომელიც დაკეტილია, აძ დღეებში დაათვალიერა სინოდალურ კანტორისაგან შემდგარმა კომისიამ, რომელშიაც დაიხიშნენ ინჟენერი კოგნოვიცკი, არქიტექტორი ბილფელდი, ბლაღოჩინი ხ. ძაქარაშვილი, მღ. ი. გამრეკელი და არქიმანდრიტი პატრიკი. კომისიამ ეკლესიის კედლები უშიშრად იცნო და დაადგინა წირვა-ლოცვის გაგრძელება ამ ეკკლესიაში.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **პოლიტეხნიკუმის საქმე.** ორშაბათს, 16 სექტემბერს, **პოლიტეხნიკუმისათვის ადგილის ამორჩევ მცირე კომისიის კრება მოხდა მ. გაჯელის თავმჯდომარეობით.** წაიკითხეს მოხსენებანი სამი უბნის შესახებ—ნავთლუღისა, ლოტკის-გორისა და საბურთალოსი. აძ მოხსენებებში გარკვეული იყო ამ სამი ადგილის ღირსების მეტ-ნაკლებლობა პოლიტეხნიკუმისათვის ნიადაგისა, სინოყივრისა და გზების მხრივ.

მოხსენებებში აღნიშნული იყო სამივე ადგილების ზოგიერთი ნაკლი, მაგალითად სამივე უბნის მიწები უვარგისად იცნეს უმაღლეს კულტურათა საცდელ-საჩვენებელ მინდვრისათვის და უპირატესობა მიეცა თავად-აზნაურობის მხოლოდ 50 დესეტინას საბურთალოზე.

მორწყვისა და ნიადაგის მხრივ ნავთლუღი და ლოტკის გორა სრულიად უვარგისად იცვნეს. მომხსენებლებმა უპირატესობა ყველაფერში საბურთალოს მიანიჭეს, გარდა გზებისა, რომელიც ამ ჟამად საბურთალოზე სრულიად არ არსებობს, მაგრამ ამ ნაკლის შესწორება ადვილია.

თათბირმა გადასწყვიტა: მომხსენებლების აზრს დაეთანხმოს. ქალაქის მოურავი ა. ხატისოვი განსაკუთრებულ აზრს დაადგა და განაცხადა: ჩემს აზრს შემდეგ წარმოვადგენო. დანარჩენი მოხსენებანი წაკითხული იქნება მომავალ ორშაბათს, როდესაც სხდომას კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფიც დაესწრება.

✦ **ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება** ხვალისთვის არის დანიშნული. კრებაზე ბ-ნი ს. გორგაძე წაიკითხავს ორ მოხსენებას: 1. „ქართველი ნეოპლატონიკი მე-12-ე საუკუნისა იოანე პეტრიცი და მისი თარგმანი ნემეზიის თხზულება: „კაცის ბუნებაზე". მეორე მოხსენება ეხება საქართველოს მე-VI საუკუნის ისტორიას ქრისტეს დაბადებამდე. მოხსენებების შემდეგ მოხდება არჩევნები ახალ წევრებისა, როგორც ნამდვილის აგრეთვე საპატიოსი. დასასრულ გაიმართება ტრადიციული ვახშამი კომშით ხორცი".

## სომეხთა ცხოვრება

✦ საზაფხულო ვაკაციების შემდეგ დღეს, 18 სექტემბერს, მოხდება საერთო კრება ტფილისის სომეხთა სამეურნეო და საქრეწველო საზოგადოებისა. კრება განიხილავს რამდენიმე საგულისხმო საკითხს.

✦ სომხური გაზეთი „მშაკი" (№ 205), მის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით, უარჰყოფს გაზ. „ზაკავკაზიე"-ში დასტამბულ იმ ცნობას, ვითომც, პროფ. ნ. მარრის და „ეჩმიაძინის კომიტეტის" შორის რაღაცა უთანხმოება მომხდარიყოს, რის გამოისობითაც პროფ. მარრი იძულებული გახდა შეეჩერებინა თავისი მუშაობა ანისში.

✦ მომავალ ოქტომბრის 11, 12 და 13 რიცხვებში ეჩმიაძინში გადახდილ იქნება სომხის მწერლობის და ბეჭდვის იუბილე სრულიად სომეხთა კათოლიკოსის მეთაურობით. ამის გამო ეჩმიაძინში დაარსებული საიუბილეო კომიტეტი აცხადებს, რომ ყველა იმ დაწესებულებამ, რომელიც მოისურვებს თავის წარმომადგენლების გაგზავნას, ადრევე აცნობოს კომიტეტს,

✦ ამ წლის 5 ოქტომბერს გადაიხდიან სომხის მწერალ-მასწავლებლის და საზოგადო მოღვაწის გრიგორ ბალასანიანის მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს.

✦ სომეხთა მწერლობის და ბეჭდვის იუბილეს გამო ტფილისში დაარსებული კომიტეტის წევრთა უმეტესმა ნაწილმა უარი სთქვა კომიტეტის წევრობაზე, რადგანაც ეჩმიაძინის ცენტრალურმა კომიტეტმა იგინი არ დაამტკიცა ამ თანამდებობაზე.

✦ სომხური წარმოდგენების სეზონი ტფილისში გაიხსნება 7-ს ოქტომბერს.

# დღიური

## ქართული თეატრი

ადამიანის არსება ცხოვრებაა, მაგრამ ცხოვრება არაა მხოლოდ სინამდვილე. შიგ ჩაქსოვილია წარსული, მოგონებანი აღავსებენ ჩვენს სულს და აჩრდილნი გარდასრულნი ჩვენთან არიან დღე და ღამ, ყოველგან, ჩვენ ვცხოვრობთ მიტომ და იმით, რომ ვცხოვრობდით, ვიყავით, ჩვენი ლაპარაკი ნაკარნახევია ყოფილების, ჩვენი ფიქრი უკვე ნაფიქრია წინაპრების, ჩვენი ნაგრძნობი უკვე უგრძვნიათ საუკუნოებს.

ცხოვრება მოგონებაა, ხოლო მოგონება არა მარტოოდენ ერთის გარდასრულის სინამდვილისა. მოგონება არაა გაცხოველება წმინდა შეურყეველ წარსულ დროთა. მოგონება არაა უმოქმედო, პასიური მოვლენა, იგი შემოქმედებაა, იგი ნებაა და მისი სურვილი, ცდა, ქმნა. მოგონების სურათებს იწვევს ნება წყვდიადიდან და მორთავს, მოკაზმავს, ამშვენიერებს მათ და შეამკობს ოცნების შარავანდედით. მკრთალი სახე გარდასრულისა ღრმავდება და ფართოვდება, ოდნავი ხაზები დიდ ზოლებად გარდაიქცევა, მცირე წერტილი—ძთად, ერთი წვეთი—მთელ ნაკადად. წარსული იყო, მაგრამ იგი აღადგინა ნებამ ჩვენმა, და კი არ განიმეორა ყოველი შეუცვლელად, არამედ გაახალა, შექმნა მეორედ და ამ შემოქმედების დროს ხელმძღვანელობდა ოცნების სახეებით.

ცხოვრება მოგონებაა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად იგი მომავალია, სურვილია, წყვდიადია, ოცნებაა სამოთხის, სხვა ქვეყნის—არა ყოფილის, არც არსებულის, დღევანდელის, არამედ იმის, რომელიც არც ყოფილა, არც იქნება, მაგრამ კი უნდა იქმნეს. უდიდესი შეცდომაა, ვითომც ჩვენ იმით ვცხოვრობდეთ, რაც არის. მაშინ ცხოვრება შესაზარი იქნებოდა. არა, ჩვენ ნამდვილი, რაც არის, არ გვინდა. ჩვენ გვინდა ხვალინდელი, ის, რაც უნდა იყოს ხვალ, ზეგ, შემდეგ. მომავალით ვსუნთქავთ, მისთვის ვარსებობთ, მისთვის ვიწევთ შრომას და მის მოლოდინში გავურბივართ აწმყო განსაცდელს. ცხოვრება ოცნებაა არსებითად. ადამიანი ოცნებას ეძებდა ყოველთვის წარსულში და აწმყოში, და თუ ჩავუკვირდებით, მთელი ცხოვრება კაცობრიობისა, მთელი ისტორია—მხოლოდ და მხოლოდ ოცნების ძებნაა. კაცობრიობა არ იბრძოდა სინამდვილისათვის, დასდევდა მარტო ლანდებს, აჩრდილებს და თუ წინ მიდიოდა, იმარჯვებდა, აუმჯობესებდა თავის ყოფას, მარტოოდენ ამ გზით, ასეთის მისწრაფებით. მარტო ბავშვები კი არ ცხოვრობენ ზღაპრებით, დიდებიც, მოხუცებულებიც ზღაპრებით ესაზრდოებენ, გმირების, დიდი საქმეების, სამოთხის სამეფოს ზღაპრებით.

ცხოვრება არაა სინამდვილე, ცხოვრება ოცნებაა. მოვიგონებთ წარსულს, ვცხოვრობთ აწმყოთი, თუ ვესწრაფვით მომავალს, ყველგან და ყველაფერში წინ მიგვიძღვის ერთი ოცნება. იგი გარდაჰქმნის გარდასრულის მოგონებას, იგი სცვლის აწმყოს სახეს და ალამაზებს მომავალის სხივით.

ჩვენ გვიყვარს ხელოვნება: ის ოცნების სამფლობელოა. ამაოა და ყალბი დავა იმის შესახებ, თუ რას უნდა გამოხატავდეს ხელოვანი, მხატვრის შემოქმედება:—რეალურს, ნამდვილს, თუ მის გადასხვაფერებულს, შეცვლილს სახეს? ხელოვნების არსებობის აზრი მხოლოდ ისაა, რომ სინამდვილე არაა, მისთვის გვიყვარს, რომ სინამდვილიდან გავყევართ, მისთვის ვესწრაფით, რომ სხვა ქვეყნად გვამკვიდრებს, სხვა ადამიანებს გვაცნობს, სხვა საქმეებს გვიჩვენებს.

ხელოვნება სინამდვილის დაპირდაპირებაა. ხელოვნება ჰქმნის სინამდვილისაგან, სინამდვილიდან წარმოშობს სახეებს, მაგრამ ამავე დროს ეს სახეები უკვდავებით არიან აღბეჭდილნი; ხელოვნების სურათი არაა სურათი იმის, რაც იყო, რაც არის, არა—ის სურათია იმის, რაც უნდა ყოფილიყო, რაც უნდა იყოს. ხელოვნება ოცნებას ჰქმნის, ოცნებით ამკობს ყველაფერს. ოცნებით აშვენებს სინამდვილის წყვდიადს.

ჩვენ გვიყვარს თეატრი, სათეატრო ხელოვნება.—ოცნების გაცხოველება აქ უფრო ძლიერია, უფრო მისაწვდომია ყველასათვის, გასაგებია, შესამჩნევია. ხალხი რტ ნება თეატრს და განა იქ სინამდვილეს ეძებს? არა, მეტად მაძღარია ის ამ სინამდვილით; სინამდვილით მოწამლულია, გამწარებულია. თეატრში გვინდა გავიგონოთ, რაც არ გვესმის სინამდვილეში; დავინახოთ, რასაც არა ვხედავთ გარშემო; ვიგრძნოთ, რასაც არა ვგრძნობთ ცხოვრებაში.

თეატრში მივდივართ, თეატრი გვიყვარს იმიტომ, რომ იქ ჩვენი ოცნება ხორცშესხმულია, ჩვენი წადილი

# ჩვენი ეკონომიური ცხოვრება

## და კოოპერაცია.*)

(დ სასრული *)

ბატონებო! ზოგჯერ ერის ცხოვრებაში დადგება ხოლმე იმისთანა მომენტი, როდესაც მის წინ ამართულია საშინელი კითხვა—კითხვა ყოფნა-არყოფნისა.

მე-XVIII საუკუნეში დანია ამ მომენტს განიცდიდა. დანიის მდგომარეობა მით უფრო საშინელი იყო, რომ მას გარშემო ეკვრნენ ძლიერი ქვეყნები, რომელნიც მსუნაგი თვალით უყურებდნენ პაწაწა, მაგრამ ბუნებით მდიდარ ქვეყანას და დიდის სიამოვნებით მიითვისებდნენ მას, როდესაც დაუძლურებული შინაური მოუწყობლობით, დანია უფსკრულისაკენ მიექანებოდა. მაგრამ დანელ ხალხს დროზე გამოუჩნდა წინამძღვრები. უკანასკნელნი თავგანწირულად შეებრძოლნენ ერის საშინელ მტერს—ეკონომიურ სიღატაკეს და გამოვიდნენ გამარჯვებულნი. სასიკვდილოდ გამზადებული დანია მკვდრეთით აღსდგა და დღეს ცხოვრებით სავსე, ამაყი და ღონიერი მოწინავე ქვეყნებთან ერთად საერთო ფერხულშია ჩაბმული და წინ მიისწრაფვის.

რომელმა მალამომ გამოაბრუნა დანელი ხალხი სიცოცხლისაკენ? რა წამალი იყო ის წამალი, რომელმაც ასე საუცხოვოდ და საბოლოოდ განკურნა ერი სიღატაკისაგან და შექმნა დღევანდელი მდიდარი დანიის სამეფო?

კოოპერაციამ.

ჩემი საუბრის პირველი ნაწილიდან თქვენ ზერელედ მაინც წარმოიდგენდით ჩვენი დღევანდელი ეკონომიური ცხოვრების ფრიად სამწუხარო მდგომარეობას.

ჩვენთვისაც ერთი მხრივ დადგა ის მომენტი, როცა გადაჭრით უნდა ვუპასუხოთ ორი ათასი წლის ისტორიას ქართველი ერისას—მოვსპოთ იგი და ჩვენი მტრების შექამანდად გავხდეთ, თუ შევებრძოლოთ ამ უკუღმართ მდგომარეობას, გავმაგრდეთ, გავძლიერდეთ და უშიშრად განვაგრძოთ წინსვლა პატარა ისტორიული ქართველი ერისა. მგონი არ მოიპოვება საქართველოში არც ერთი ქართველი, რა რიგ მიმართულებისა იყოს იგი, რომ მეორე გზა არ ირჩიოს. და მართალიც იქნება, რადგანაც საქართველოს ისტორია ჯერ არ დამთავრებულა!.. მაგრამ სიტყვების ჩაძახებით ჩარხის ტრიალს ვერ შევაჩერებთ. აქ საჭიროა მძლავრი ხელი ეკონომიურად ძლიერის ქართველი ერისა. მარტო მას შეუძლიან მოატრიალოს ჩარხი და საქართველო ახალი ისტორიის გზაზე დააყენოს.

ეს გზა კი არის—გზა ქართულ კოოპერატიულ მოძრაობისა, კოოპერატიულ ორგანიზაციების მოწყობისა ქვევიდან ზევითამდე და ზევიდან ქვევითამდე.

რუსეთის გამოჩენილმა კოოპერატორმა ა. ევდოკიმოვმა თავის უკანასკნელ ლექციაში, სხვათა შორის, სთქვა: „საქართველოს აღორძინების წინსვლაში კოოპერაციას დიდი მნიშვნელობა ეძლევა, მით უფრო, რომ კოოპერაცია, საზოგადოდ უფრო ნაციონალურ-ტერიტორიალური ხასიათისაა. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თქვენში კოოპერატიული ორგანიზაცია ის მთავარი ღერძი იქნება, რომლის გარშემოც ახლო მომავალში დატრიალდება მთელი ქართველი ერის კულტურულ-ეკონომიური ცხოვრება"-ო.

საყურადღებო სიტყვა ცნობილი კოოპერატორისა უსაბუთო არ არის.

მართლაც, თუ მივიღებთ მხედველობაში დაქვეითებულ ქართულ ეკონომიურ ცხოვრებას, დ როგორც ზევით ვამბობდი, დახასიათებულს კონსერვატულ-ექსტენსიურ მეურნეობის ნაწარმოების არა ნორმალურ გასაღების პირობებით, ქართულ ბაზრების უცხო ბურჟუაზიის ხელში ყოფნით, საკუთარ ვაჭრობა-მრეწველობის უქონლობით და საერთო აწეწილ-დაწეწილ მიწის მფლობელობით,—ამ პირობებში, რასაკვირველია, მძლავრსა და იდეურ კოოპერატიულ მოძრაობას შეუძლიან დიდი სარგებლობის მოტანა ქვეყნისათვის და ძალაც შესწევს, მართლაც, გადაიქცეს საქართველოს აღორძინების ერთ-ერთ ძლიერ ფაქტორად.

კოოპერატიული იდეა მეტად პოპულიარულია და მიმზიდავი. კოოპერაციას შეუძლიან ერის ეკონომიურს ცხოვრებას ყოველმხრივად მოუაროს, რადგანაც მისი ორგანიზაციები მრავალფეროვანია, ხელს უწყობდიან ყველა მოთხოვნილებას და ახლო უდგებიან ხალხის ჭირ-ვარამს. მათი მოწყობა ადვილია და უბრალო, შედეგი კი საუცხოვო. მასთან აღსანიშნავია ისიც, რომ კოოპერაცია იქ იდგამს ფეხს და ძლიერდება, სადაც ხალხი ქონებრივად სუსტია და ჩაგრული.

დღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ თანამედროვე ქართველი მოღვაწეების მეცადინეობა უმთავრესად გლეხთა გაღონიერებისაკენ უნდა იყოს მიმართული, მისი პაწია მამულის გამოკეთებისაკენ და საერთოდ ჩვენი სოფლის უმწეო და ბნელი ცხოვრებისაგან დახსნისაკენ.

„გლეხებო! უკანასკნელი ბრძოლა კაცობრიობის საუკეთესო იდეალების დასაცავად თქვენი უნდა იყოს!"—ამბობდა ერთი გამოჩენილი კოოპერატორი. საქართველოს წინსვლაც იმაზეა დამყარებული, თუ ჩვენი გლეხობა რა რიგად მომზადებული იქნება მომავლისათვის, რა იარაღით გამოწყობილი და დარაზმული. ეს გამარჯვების იარაღი—გლეხთა კოოპერატიული ორგანიზაციებია, როგორც საუკეთესო და მძლავრი ფორმა თავის ნაციონალურ-ეკონომიურ ინტერესების დასაცავად თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში.

ამიტომ ქართულმა კოოპერატიულმა მოძრაობამ ღრმად უნდა გაიდგას ფესვები ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში, და რკინის სალტასავით გარს შემოევლოს ამ ცხოვრების ყოველ მხარეს, ყოველ დარგს და ერთიანად დარაზმოს ქართველობა ერთს ვეებერთელა ფოლად—კოოპერატიულ ორგანიზაციის სახით.

კოოპერატიული ორგანიზაციების ფორმები ცნობილია. სამი მთავარი ტიპია მისი: საკრედიტო, სამეურნეო და მომხმარებელი კოოპერატივები. მათ შორის სამეურნეო კოოპერაცია მრავალი სახისაა—მიწის დამმუშავებელი, სამეურნეო ნაწარმოების გამსაღებელი, მერძევეთა ამხანაგობანი, სამელიორაციო, სამრეწველო და სხვა.

საკრედიტო ორგანიზაციები აწვდიან ხალხს საჭირო თანხას. სამეურნეო ამხანაგობანი ამ გამოტანილ თანხას გზას უჩვენებენ და ეუბნებიან: აი, ამ შენთვის სასარგებლო საქმეზე დახარჯე გამოტანილი ფული. მომხმარებელი საზოგადოებანი აწვდიან მოსახმარებელს პირველ საჭიროების საუკეთესო იაფსა და კარგს პროდუქტს და ნივთებს. ჩვენში დღეს გაიდგა ფეხი უმთავრესად საკრედიტო და მომხმარებელმა კოოპერატივებმა. აქა-იქ ეწყობა სამეურნეო ამხანაგობანი უფრო მერძევეთა და ერბო-კარაქის მკეთებელთა. მაგრამ კოოპერატიული ორგანიზაციების უსისტემოდ და კანტი-კუნტად მოწყობას, როგორც საზოგადოდ მეტ შემთხვევაში დღეს ჩვენში ხდება, სარგებლობის მაგივრად მავნებლობის მოტანა შეუძლიან, მეტადრე თუ კოოპერატივების მოწყობის პირობები გათვალისწინებული არ არის. რა გვარი კოოპერატიული ორგანიზაციები სჭირია დღეს ჩვენს ქვეყანას და რა დარგებს უნდა მოუარონ?

უპირველესად ყოვლისა ჩვენი ცხოვრება თხოულობს ფართო სახალხო კრედიტის მოწყობას, გარეშე გავლენისაგან დამოუკიდებელს. ამიტომ პირველ რიგში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი უნდა დავაყენოთ, რადგანაც უკანასკნელი მომავალში უფრო დამოუკიდებელნი იქნებიან სახელმწიფო ბანკის ბატონპატრონობისაგან. სადაც დაარსებულია, ან არსდება დღეს, საკრედიტო ამხანაგობანი, იქ ხელმძღვანელები უნდა ეცადნენ, რაც შეიძლება მალე, როცა ხალხი მომზადდება, შემნახველ- გამსესხებელ ამხანაგობათა ტიპზე გადავიდნენ.

სამეურნეო კოოპერატივთა შორის ძალიან საჭიროა მერძევეთა, ერბო-კარაქის და ყველის მკეთებელთა ამხანაგობანი, რადგანაც კაი ნაწილი ჩვენი ქვეყნისა მისდევს მესაქონლეობას და მის ძვირფას ნაწარმოებს გასავალი არა აქვს. არა ნაკლებ საჭიროა მევენახეობის, მებაღეობის და მებოსტნეობის ამხანაგობათა მოწყობა.

ყველა სხვა ნაწარმოების გასაღება, რომელიც დიდხანს ინახება და არ ფუჭდება საკრედიტო ამხანაგობებმა უნდა იკისრონ. მით უფრო, რომ მათ ნება აქვთ სამეურნეო ნაწარმოებით საშუამავლო ოპერაციები აწარმოვონ. მაგალითად—ხორბლეულობისა, აბრეშუმისა, მატყლისა, თამბაქოსი, ხე ტყისა. ამასთან ერთად, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დახმარებით და ხელმძღვანელობით, შეუძლიათ მიაწოდონ გლეხკაცს ახალი სამეურნეო იარაღები, თესლეულობა, შაბიამანი, გოგირდი და სხვა.

მომხმარებელი საზოგადოებანი უნდა ეწყობოდნენ დღეს-დღეობით დიდ სოფლებში და დაბებში და არა პატარა სოფლებში, რადგანაც პატარა სოფლის გლეხი ნისიას არის მიჩვეული. ეს კი მომხმარებელი საზოგადოებისთვის დასიღუპი ფაქტორია. დიდ სოფლებში კი ამ საზოგადოებათ შეუძლიანთ გამაგრდნენ, ფართოდ მოაწყონ თავისი ოპერაციები და დუქნის საქონელი გააუმჯობესონ. მომხმარებელი საზოგადოებანი აგრეთვე საჭიროა ჩვენს ქალაქებში, სადაც ბევრი ქართველი მუშა ხალხი ტრიალებს. ამ საზოგადოებათ შეუძლიანთ დიდი დახმარება გაუწიონ მუშას, რადგანაც ჩვენი მუშის პაწია ბიუჯეტიდამ ²/₃ დუქანს მიაქვს, ამასთან ნაყიდი საქონელიც ძვირია ხოლმე და უვარგისი.

ამას გარდა, დღეს მომწიფებულია საკითხი საკრედიტო ამხანაგობათა კოოპერატიული კავშირებისა საქართველოში. ამ კავშირების მოწყობა უნდა ექვემდებარებოდეს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიურ პირობებს, ესე იგი, ყოველს დიდს

*) იხ. „სახ. გაზ." № 995

*) ეს ნაწილი, როგორც საზოგადოდ მთელი ლექცია, ძალიან შემოკლებულია კურსისტების ბოლო დღეებში დაღლილობის გამო. ამიტომ იძულებული ვიყავი განუმარტებლად დამეტოვებინა ზოგი ერთი ადგილი; ვეცდები სხვა დროს შევავსო ეს ნაკლი.

დ. ვ.

განამდვილებელი, ჩვენი წყურვილი დაკმაყოფილებული, ჩვენი ნება გამეფებული. ჩვენ შევდივართ თეატრში, რომ გარედ დავტოვოთ სინამდვილე მწარე, შესაზარი, ბოროტი, მოშხამული და ჩვენს წინ უნდა წარმოდგეს ოცნება ძლევამოსილი და წამიერად მაინც დაგვაწაფოს სხვა ცხოვრებას.

თეატრში გვინდა ვიხილოთ—რაც არ არის—გმირობა ჩვენი სულისა, ძლიერება ჩვენი გულისა, სიამაყე ჩვენის პიროვნებისა, თავგანწირულობა ჩვენის სიცოცხლისა, შეუპოვრობა ჩვენის ხასიათისა, აქ გვინდა ვიქცეთ იმათ, რაც არა ვართ—გმირებად, კეთილშობილ, მაღალ ადამიანებად. აქ ვეძებთ—რაც არა გვაქვს; აქ არის ჩვენი თავისუფლება, აქ არის ჩვენი ეროვნება, აქ არის ჩვენი თავის არსებობა აქ არის ჩვენი უდიდესი ოცნება—ოცნება საკუთარის ყოფისა, პიროვნებისა, ინდივიდუალობისა.

ეს არის ჩვენი თეატრის დღევანდელი უმაღლესი დანიშნულება. დიდად ვაფასებთ ქართულს თეატრს, ვინაიდან იქ ვპოვებთ სახეს ჩვენის ეროვნულის არსებობისას. იქ ვართ ჩვენ თავისუფალნი, თვითარსნი, ვართ ის, რაც არა ვართ და რაც უნდა ვიყოთ. საჭიროა, რომ ჩვენმა თეატრმა სავსებით შეიგნოს ეს თავისი დანიშნულობა და ყველაზე უწინარეს უნდა შეიქნეს ეროვნულ თეატრად, არა მარტო სახელით, არამედ მთელის თავის შინაარსით. ჩვენი თეატრიდან უნდა განიდევნოს ყველაფერი და ყველა, ვინც და რაც ამით არაა გაჟღენთილი, ამას არ ემსახურება, ამისთვის არაა მოწოდებული. ერთი პატარა ხაზიც გადაგვარებისა, ერთი ძციოე მოვლენაც ეროვნების არა გამტკიცებისა მიუტოვებელი დანაშაულობაა აქ!

ჩვენი თეატრი გასართობი და სათამაშო ადგილი არაა. იგი ტაძარია, წმინდა ტაძარი ჩვენი უდიდესის ოცნებისა!..

**სიტყვა.**

## თელავის ქართული სკოლა

წ. კ. საზ. თელავის განყოფილების სკოლა სულ სხვა, არა-სანატრელ პირობებში არსებობს, მას არსაიდან მუდმივი დახმარება არა აქვს. ინახება მარტოდ-მარტო საწევრო გადასახადის და გასართობი საღამოების შემოსავლით. წევრთა რაოდენობა ასს არ გასცილებია და, თუნდაც მუდმივი იყოს, ეს 300 მან. არას წარმოადგენს. დარჩა გასართობი საღამოები, მაგრამ ეს ხომ სათუოა და შესაძლებელია დეფიციტითაც გათავდეს ხოლმე, (თუმცა აქამდე ასეთი მაგალითი არა ყოფილა) და მაინ პირ და პირ არსებობის წყარო მოესპობა.

სხვაგან ასეთ სკოლებს თუ ღარიბი სოფელიც კი დახმარებას უწევს ბინის მიცემით, აქ ქალაქის გამგეობამ ცარიელი ადგილიც კი არ დაუთმო და მის თხოვნაზე პასუხიც არ გაუცია, ალბად იფიქრეს—არა ღირს ქართულ სკოლას ანგარიში გავუწიოთო...

სკოლის შესანახ ხარჯს 1500 მ-დე მარტოდ-მარტო წ. კ. თელავის განყოფილება იხდის, მაშინ როცა მას კიდევ ბევრი საქმე რჩება გასაკეთებელი მაგ.. სოფლის ბიბლიოთეკები და სხვ. მაგრამ მთელი მისი ყურადღება ჯერ-ჯერობით ამ სკოლაზეა მიპყრობილი.

ამავე დროს ამ სკოლამ მეტად მალე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება. ყოველთვის აუარებელი მთხოვნელია, წელს მესამე განყოფილება გაიხსნა, პირველში 40 მოწაფე მიიღეს და ამდენსავე უარი ეთქვა უადგილობისა გამო.

აღსანიშნავია, რომ სკოლას უფრო შეუძლებელთა წრე ეტანება; სწავლის ფული წელიწადში 6 მანეთია, მაგრამ ნახევარზე მეტს ანთავისუფლებენ ხოლმე, რადგანაც, თუ ასე არა, ბევრს მოუხდებოდა სკოლის მიტოვება.

ამის გამო წ. კ. საზოგადოებას ორნაირად უხდება ზრუნვა, სკოლის შენახვა და მოსწავლეთა განთავისუფლება და სწორედ ამისთვის ვამბობ, იგი არა სანატრელ პირობებშია მეთქი.

მართალია, თელავში მდიდარი ქართველები არ არიან, მაგრამ ისეთი შეძლებულები კი ბევრი მოგვეპოვება, რომელთათვისაც 6 მან. გარდახდა წელიწადში, არაფერს შეადგენს მათ სახელობაზე თითო ბავშის ასაზრდელად.

აქვე არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ ბ. გ. სუკიასოვმა 5 მუდმივი სტიპენდიის დაარსება აღუთქვა გარდაცვალებულ თავის მეუღლის ალექსანდრა სანებლიძის ასულის სახსოვრად, კნ. ს. ვახვახიშვილისამ თავის სახელობაზე 2 მუდმივი სტიპენდია დაარსა, ქ. ელ. შიუკაშვილისამ ორი ბავშის სწავლის ფული შეიტანა. იმედია, ამათ სხვა მიმბაძავნიც გამოუჩნდებიან და თავიანთ წვლილს არ დაზოგავენ ასეთ საკეთილო საქმისათვის.

სკოლაში ამ ჟამად 100 ბავში სწავლობს, მეცადინეობა უკვე დაიწყო; სწავლის დაწყობისას პარაკლისი გარდაიხადა და შესაფერის სიტყვით მიმართა მოწაფეთ და მშობლებს მღ. ეპ. ჯაოშვილმა. 9 სექტემბერს ესევე სკოლა დაათვალიერეს გორის ეპისკოპოსმა ყ.-ს. ანტონიმ და შუამთის მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ნესტორმა.

**დავიწყებული.**

---

დამოუკიდებელ სამეურნეო რაიონში განსაკუთრებული კავშირი უნდა მოეწყოს. თუ მივიღებთ მხედველობაში საქართველოს მეურნეობის ხასიათს და გეოგრაფიულ პირობებს, რიცხვი ამ სარაიონო კავშირებისა 8—10 იქნება. შემდეგში სარაიონო საკრედიტო კავშირები ერთი დიდი კავშირის ქვეშ თავს მოიყრიან და ცენტრად ტფილისს აირჩევენ.

ამ რიგად ჩვენი კოოპერატიული სისტემა დღეს ასე იხატება:

ა) წვრილი საკრედიტო დაწესებულებანი (შემნახველ-გამსესხებელ ტიპისა) თავის საშუამავლო ოპერაციებით.

ბ) განსაკუთრებული სამეურნეო კოოპერატივები, რომელნიც სამეურნეო წარმოებას მოარიგებენ და მრავალ სამეურნეო ნაწარმოებს შეერთებულად გაასაღებენ.

გ) ქალაქებში, დაბებში და დიდ სოფლებში მომხმარებელი საზოგადოებანი მიეშველებიან ქართველ მომხმარებელს და დაიხსნიან მას ათასგვარ მყვლეფავ მეღუქნეებისაგან.

დ) საკრედიტო ამხანაგობათა კავშირები, გაძლიერებულნი შეერთებით, ფართოდ გაუწევდიან ხალხს საჭირო კრედიტს და საშუამავლო ოპერაციებს სამეურნეო ნაწარმოებისას მკვიდრად დააყენებენ.

აი, ბატონებო, ის მთავარი კოოპერატიული ორგანიზაციები, რომელნიც ჩვენი ქვეყნის აღორძინების საქმეს უნდა ემსახურონ.

განა ეხლა ვისთვისმე საეჭვოა, რომ კოოპერატიული მოძრაობა მეტად სერიოზულია და ძლიერი, რომ კოოპერატიული მოწყობილობა მეტად საჭიროა ჩვენი მეტად სუსტი ეკონომიური ცხოვრებისათვის? რაკი ასეა, განა ყოველი შეგნებული ქართველი მოვალე არ არის მოჰკიდოს ხელი ქართულ კოოპერატიულ საქმეს? უნდა მოჰკიდოს, მით უფრო, რომ დიდებულ შედეგსაც მალე ნახავს, რადგანაც გავიმეორებ:

**კოოპერაცია** მოუტანს ხალხს ახალ სამეურნეო ცოდნას და ახალ მეტოდებს სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებაში.

**კოოპერაცია** გაუხსნის ქართულ მეურნეობის ნაწარმოებთ ბაზრებს.

**კოოპერაცია** ცოტად თუ ბევრად მოაწესრიგებს მიწის საკითხს.

**კოოპერაცია** შეიტანს ხალხის ფართო წრეებში დისციპლინას და შეაკავშირებს ხალხის დაქსაქსულ მწარმოებელ ძალებს.

**კოოპერაცია** გაუღვიძებს ხალხს განათლების წყურვილს

**კოოპერაცია** გაუღვიძებს ქართველ გლეხს ეროვნულ გრძნობებს და გამოიყვანს მას დარაზმულ და მძლავრ მებრძოლად ეროვნული იდეალების დასაცავად.

დასასრულ მოგმართავთ, თქვენ, ახალგაზრდა პიონერებს დიდი ეროვნული საქმისა!

მართალია, თქვენს კოოპერატიულ მოღვაწეობას არა ერთი დაბრკოლება გადაეღობება, მართალია, ბევრი თქვენგანი უდიდ მუშაობისაგან წელში გაწყდება, მოიკაკვება და იქნებ წაიქცეს კიდეც.. მაგრამ ნუ შეშინდებით. კვლავ წამოდექით, გასწორდით წელში და უფრო მედგრად და სიმხნით განაგრძეთ თქვენი დიდი შრომა. რადგანაც, ვფიქრობ, თქვენს გულში დაფარულია ის ღრმა რწმენა, რომ ქართული კოოპერატიული საქმე მართლაც გამოიყვანს ქართველ ერს დღევანდელი სიღარიბიდან, გაუწალდავს ქართულ ეკონომიკას წინსვლის ახალ გზებს და დაუახლოვებს საქართველოს სხვა განათლებულ ერებს.

და ეს იქნება უდიდესი ჯილდო თქვენი პატიოსნური და თავგანწირულ მოღვაწეობისათვის ქართულ კოოპერატიულ ასპარეზზე.

**დ. ვაჩნაძე.**

23 ივლისი 1913 წ.
ქართული კოოპერატიული კურსები.

---

## დიმიტრიანი

(ძველი ხელთნაწერი).

არა ერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენს დაბა-სოფლებში დიდძალი ძველი ხელთნაწერი წიგნებია თავად-აზნაურთა თუ მღვდელ-ერთა ოჯახებში, რომელნიც უნდა მოიძებნოს და გარდაეცეს ჩვენს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას: არა მარტო წევრი ზემოხსენებული საზოგადოებასა, არამედ ყოველი ქართველი, რომელსაც ხშირად უხდება დაბა-სოფლებში სიარული, მოვალეა მოიკითხოს, მოსძებნოს, შეაგროვოს და გამოუგზანოს ჩვენს ისტორიულ საზოგადოებას. ამას ძალიან დიდი შრომა არ უნდა, საჭიროა მხოლოდ მოკითხვა. წელს ჩემი მოგზაურობის დროს შევიძინე ერთი ძველი მხედრულის ხელით ნაწერი დიდი წიგნი, რომელიც შეიცავს 400-ზე მეტს ფურცელს და ეს ამოდენა წიგნი სულ ერთნაირის წვრილის მშნოიანი ხელით არის ნაწერი. ამ წიგნს სახელად, როგორც ზედწარწერიდანა სჩანს ჰქვიან „**დიმიტრიანი**". და შიგ მოთავსებულია რამდენიმე ავტორის თხზულებანი.

ამ წიგნს თავში ასეთი ზედ-წარწერა აქვს:

„თავად დიმიტრი ორბელიანოვის სახლთ-უხუცესისა მიერ თქმული". შემდეგ ასე იწყობა „ეს ანბანთ-სიტყვა მარჯვობა მესხოა, ძველადგანვე ამბავად ნათქვამი იყო, ერთი მეორის შესაქცევრად; აწ მე ლექსად შევაწყევ ანბანთ ქებადვე—პირველი სიყრმის ნამუშაკევი არის, და არცა ვის ეთქვა; თუ არ მოგეწონოსთ, ნუ მგმობთ, და ქებას კი არ ვითხოვ, თავადი დიმიტრი ორბელიანი".

შემდეგ ვიდრე ანბანთ რიგზე დაიწყობა ლექსი, შემდეგი სწერია ლექსადვე:

„მარტვილობაა მოცლილი, სიცრუვეს მისცემს ძალებსა,
შეირგებს ტქაფად საქმელსა, დაამტვრევს კბილით ძვალებსა,
სამასხარაოდ ენასა, უცხოდ რამ გამალებსა,
არ მითქვამს ცუდი ლაყაფი, თუცა დაავლებთ თვალებსა.

—

ესე ანბავი ძველთაგან თქმულა ამბავად მბობილა,
გრძლვნით მოცლილთა შექცევას, თუ ერთმანერთზედ სწრობილა.
ვინც დაუცდენლად მოიყვანს, იგი არ ვექობ გმობილა.
ერთი გამოვა კარგ-სიტყვა, მეორე მასთან ზრობილა.

—

ბევრთა გალექსეს ანბანი, ვის როგორ სწადდა ნებისად,
დაწერეს სხვა და სხვა რიგად თით კალამ რჯითა ნებისად,
ვერ ვინა ვნახე მათშიგან, ამ საქმის მოწადებისად,
ამისთვის მეცა ავბაძდი, არ ვიქმნა მოქენებისად.

—

აწ ეს ვინიბე ანბანთა, ვინც უკეთ ვეტყვით სრულობით,
სით მოვალთ, ანუ სად წარვალთ, ვისა ვყმობთ სახელ-თქმულობით,
შვილდი რისა გაქვს ისრითურთ, მესროლო ხანდაზმულობით,
რას მოჰკლავ მთხარ რაში ჰკრავ, ნადირთ მომსრველო სრულობით".

—

შემდეგ იწყება ოთხ-სტრიქონიან ტაეპად ლექსი თითო ანბანთ ასოზე, სადაც ნათქვამია თუ ვინ საიდან მოდის, სად მითის, ვისა ყმობს, შვილდი რისა აქვს და აგრეთვე ისარი, რას მოჰკლავს და რაში მოარტყავს. წარმოიდგინეთ, რამდენიც ასოა ანბანში, იმდენი სხვა და სხვა ქვეყანა, დაბა თუ სოფელია ჩამოთვლილი, თუ საიდგან მოდის, ან სად მიდის, ვისა ყმობს. ამდენ ნაირივეხეა დასახელებული თუ რა ხის შვილდი აქვს და ცალკე რა ხის ისარი; ამდენ ნაირივე ფრინველთა და ნადირთა სახელებია თუ რომელს სად ესვრის და რა ნაწილსა ჰკვეთს ისარს. ერთი სიტყვით, დიდი მასალაა სამშობლო გეოგრაფიისთვის და ქართულ ლექსიკონისთვის.

ბოლოს ასეთის ლექსით ათავებს ავტორი:

„პირველად ნამუშაკევი, ჩემთა სიყრმისა ჟამისა,
არა რა მაქვნდა ჰქუნვანი, თუ არ სმისა და ჭამისა,
კეთილსა ვახლდი მეფესა გაყრა არ მქლავდა მამისა,
არ მომაგონდის სახლობა, სამონოდ ვიყავ ამისა".

—

შემდეგ აქვე იწყება მეორე ანბანთ ქება იმავე ხელით ნაწერი, ისევ ტაეპებად დაყოფილი და იმავე რიგზე, მხოლოდ აქ ადგილებიც, გვარებიც, და ფრინველთა თუ ოთხფეხთა სახელები სულ სხვაა, ვიდრე პირველ წიგნში. ამ მეორეს ასეთი წარწერა აქვს: **თავადისა ალექსანდრე ამილახვარისა მიერ თქმული, ან-ბანსა ზედა ვისი ყმა ხარ?** მერე იწყება რიგზე ლექსები. პირველ ასოზე ანზე ასეთი ლექსია:

„აღმოსავლეთით წარმოველ, ასურეთს მივალ რებითა,
აბრაამ მიხმეს სახელად, ასლანს ვემონე ხლებითა.
ატმისა მშვილდი ხელთა მაქვს, არყის ისრისა ვლებითა
„არჩვსა ვკარ ასო მოვსწყვიტე, თუმცა იგ წავა ვნებითა."

—

მერე მეორე ასო ბანზე და ასე ბოლომდე.

გათავებისას მიწერილი აქვს მოკლე ლექსი:

„ესე მეთქვა ჩრდილოსა, ჩემთვის უადგილოსა
ნუ თუ მწირსა ამით რა მცირე მომელხინისა".

—

მერე ამავე ხელით დაწერილია ლექსები:

„თავადის ალექსანდრე გარსევანისის ჭავჭავაძეს მიერ თქმულნი". წელსა ჩყკგ-სა ტფილისსა შინა.

1. „თავსა უშლად ნუ ვინ ჰგონებთ".
2. „გუთნის დიდი".
2. „შექცევათათვის".
4. „რასტი გუშა გულჰამანუმ ჯანუმის ხმა".

მხოლოდ ეს ოთხი ლექსია აქ ალ. ჭავჭავაძისა. შემდეგ ამისა იწყება ლექსები შემდეგი სათაურით:

1. „კავკასია".
2. „ეს სოფელი სამყო ძნელი"..
3. „დაუდგრომელი და კეთილი მწყემსი",
ანუ კობლე და ხლე.
4. „პყრობილობის დროსა".
5. „დიმ—ისადმი".
6. „მუსტაზადი" პეტრე გ. ლარაძესთან მიწერილი.
7. „თეჯნისი".
8. „მემთვრალეჲსადმი".
9. „ჰრიპინაჲსათვის".
10. „მოძღვრისა და მოწაფეჲსათვის".

მერე ნათარგმნი თ. ალ. გარ. ჭავჭავაძის მიერ:

1. „როს სატრფო მოუვა გულსა".
2. „ვანღვიძება".
3. „როს გიყვარდი".
4. „ყრმა კაცი, ქალსა ვისმე თაიგულის მირთმევაში ეუბნება".
5. „ნეტარ მას ვინცა შენს ახლოს".
6. „წარწერილობა საფლავსა ზედა ყრმა წულისასა".
7. „ნათარგმნი სპარსულით".
8. „ლექსი ანაკრეონულნი".

ეს ლექსები რომ თავდება, ამავე ხელით იწყება:

„ცხოვრება და წამება წმ. დიდისა მოწამისა ბარბარასი, მეტაფრასოსი, დამასკინისა და ათ-თორმეტთა თვეთაგან შეკრებილი".

ამის შემდეგ იწყება ლექსები თ. ავალიშვილის ასეთის ზედ-წარწერით: „ჩყკბ-სა წელ. ოკტომბ. თ-სა დღესა თქმული თ. გიორგი ავალოვისა მიერ". აქ მარტო ერთი დიდი ლექსია და მერე იწყება „დიმიტრიანი" ასეთი ლექსით:

„მეცა ვე ჩემსა ნაშრომსა, ვუწოდებ დიმიტრიანსა,
ამბავსა ლექსსა შაირსა, ბევრ გვარსა კილო ხმიანსა,
„საღმრთო საეროს ყრილობით ვით ვარდსა შეთხზვით იანსა.
ამაოს მეტყველებითა სულისა დასაზიანსა."

—

მერე იწყება ანბანთ-ქება სულ სხვაგვარ ლექს წობით. ზევით თითო ასოზედ თითო ტაეპიანი ლექსია და აქ კი თითო ასოზე ერთ სტრიქონიანი ლექსია და ყოველი სიტყვა, რომელიც არის ლექსში იწყობა ერთნაირი ასოთი. მაგ.:

„ახლად აღვამკობ ალვასა, ანაგებ ანაზებულსა,
ბროლ-ბალახ-ბარდსა ბაკიანს, ბუნებით ბრწყინვალებულსა,
გავსილსა გამთვარებულსა, განგებით გაახლებულსა,
დავტრფე, დავხარი დავბრუნავ დღითით დღე დარაჯებულსა".

ეს დიმიტრიანი ანბანთ ქებათა გარდა შეიცავს ბევრ სხვა ლექსებსაც. ავტორი ამ „დიმიტრიანისა" და ლექსებისა არის უბრწყინვალესი თავადი დიმიტრი ბაგრატოვანი და ამისათვის თვით წიგნსა ჰქვიან „დიმიტრიანი". ამ წიგნში მოთავსებულია ლექსები:

1. „ელისაბედნიანი, შეთხზვით ვარდნი იანი, მამისაგან ნათქვამი აღარ დასაგვიანი".
2. „ნანინა".
3. „ნანინა" სხვაგვარი.
4. „ნანინა", კვალად სხვა.
5. „ელისაბედიანი ჩახრუხაულად. *)
6) „ალბომზედ სახსრვად მინაწერი ელისაბედისად".
7. „სევდის ბაღს შევედი ხმაზედ".

ამ ლექსის შემდეგ პატარა ლექსია, რომელშიაც კნ. მარიამ ბეჟ. ასული ბარათაშვილისას უქებს თავის ქალს:

„ვით აღვიწერო არ ძალ მიძს მე ჩემი ანასტასია,
ცუდად დავაშრობ ენასა, მისთვის ყველაი ნასია,
ხამს მოვაწვივო საქებრად ათინით ბრძენთა დასია
ნუ თუ მათ რამ სთქვან საფერად არ მოვიკიცხო ასია"...

8. „ალბომზედ მინაწერი ანასტასიასად".
9. „ამმოვაებაჲ ყოველთადმი".

ამ გრძნობით სავსე ლექსის პირველი ტაეპი ასე იწყობა:

„მე მივის ორი ასული, უეკვიდრო უმამულოსა,
უცხოსა თემსა მწირობით, უსახლო უსართულოსა,
ამისთვის ვჰმუნავ ვერ ვხედავ მათსა საუფლის წულოსა.
არ ვიცი ღმერთი რას ბედით დაახვევინებს შულოსა".

შემდეგ სჩივის, რომ მამა-პაპის ცოდვა რად უნდა ეკითხებოდეს შვილებს და შვილი-შვილებსაო.

1. „შაირითა ღმერთისა მიმართ უბნობა".

აქ არ შემიძლიან არ ამოვწერო ამ დიდ ლექსიდან რამდენიმე ტაეპი, სადაც ავტორი აღტაცებული სწერს სატრფოს მშვენიერებაზე:

„მისთვის გაიკრნენ ტარიებრ, ავთანდილურად მარები
ხოსრო და ფარადს შეუდგნენ, იგ მათი შესადარები,
ყაისს ესტუმრონ გაჭრილნ, ბარამსაც ქოხის კარები,
იოსებს ჰბაძონ პატიჟით, ჰქმნან სხვა და სხვისა გვარები.
ნესტანს ესე სჯობს შვენებით შოთასგან მონასმინობსა,
ქცევით უსწორა ვინ იგი, არაბეთს თინათინობსა,
ლეილსა ჰბაძავს ზრდილობით, ზილიხანობას წყინობსა
ბაზიყაობას თამაშობს, კუშტობს ქვე გაილიმობსა,
მე მისთვის ვხელობ ვინ იგი აშვენებს სრულად არესა,
შუქსა უცუდებს გავსილსა ხუთმეტი დღისა მთვარესა,
ვარსკვლავთა სჩაგრავს ციმციმით, თვით ნათობს ყოვლსა მხარესა,
მზესა უბნელებს დისკოსა ქვეყნად მოშუქდარესა.
ქალო კეკლუცო გიხდება, ამაყად მოარულობა,
წელსა წერწეტსა ნაოჭით, კეკელად მოკაზმულობა.
მნათობთა პირთა გავსება, მთვარულად მობადრულობა,
ახელებს შენთა მჭვრეტელთა შენი შვენებით სრულობა".

(შემდეგი იქნება)

**ზ. ჩხიკვაძე.**

## თეატრი და ხელოვნება

**დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია საინტერესო წარმოდგენა.** ითამაშებენ შიუკაშვილის „ციცინათელას". თუმცა ტფილისის საზოგადოება ამ პიესას კარგად იცნობს, მაგრამ ეს წარმოდგენა საინტერესოა იმით, რომ ციცნათელას როლს შეასრულებს ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ქალი ნ. ჩხეიძე. გარდა ამისა უმთავრეს როლებს ასრულებენ დასის საუკეთესო ძალები.

**ქ. ბათომი.** როგორც ტფილისში—ბათომშიაც სეზონი გაიხსნა ცნობილი ისტორიული დრამით „დოლატი"-თ. როგორც მოსალოდნელი იყო ჩვენმა ძველმა „მოგზაურ ლებმა": შ. დადიანმა, (სოლეიმან ხანი) ყალამპეგაშვილმა, (ოთარ-ბეგი) კორიშელმა, (ანანია-გლახა) ანდრონიკაშვილისამ (რუქაია), ჩაგუნავა (ბესო) და სხვ... სრულიად დაგვაკმაყოფილეს თვისი თამაშით. დასის ახალ მსახიობთა შორის აღსანიშნავია ეფ. მესხი (ზეინაბი) მან თვისი გრძნობიერი თამაშით ბევრს მაყურებელს ცრემლები გადმოაღვრევინა. ლეჟავას (გაიანე) ქალს კარგი მომავალი უჩანს თუ მეცადინეობას არ მოაკლებს!... მიკომ (გაიანეს გამდელი) თ ვისი პატარა როლი უნაკლულოდ შეასრულა—ვერ დაგვაკმაყოფილეს ალუღიშვილმა (დათო) და მგალობლიშვილმა (ერეკლე) პირველს სცენის შესაფერი დიქცია აკლია, მეორეს კი გრძნობიერობა. ყველანი ერთად კი საერთო ანსამბლს ხელს უწყობდნენ... საზოგადოება წარმოდგენას ბევრი დაესწრო.

**ტრ. ი—ძე.**

*) როგორც ლექსიდან სჩანს, ელისაბედი არის დიმიტრი ბაგრატოვანის ასული.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**17 სექტემბერი.**

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** „ტაიმს" აუწყებენ: ჩინეთის საერთაშორისო ბანკირების კონსორციუმის სიტყვით, სამთა, ოთხთა და ხუთთა შეთანხმებანი, გარდა მეხუთეს ნაწილისა, რომელიც ჩინეთისადმი სესხის მიცემას ეხება, გაუქმდა. ეს სესხი მიეცემა ჩინეთს ადმინისტრატიულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ახალი მდგომარეობა უნდა შეიქმნას, რათა საშუალება მიეცეს ყველა სახელმწიფოთა მოქალაქეთ ჩინეთში რკინის გზის კონცესიების აღებისა. ამის გამო ჩინეთის წრეები დიდად კმაყოფილნი არიან.

ირლანდიაში, ჩაგირყვინეში რედმონდი შეეხო ულსტერებთან შეთანხმების საკითხს და სთქვა: „კარსონის მომხრენი დარწმუნდნენ, რომ კამპანია წაგებული აქვთ. ჩვენ თანახმა ვართ მოველაპარაკოთ მხოლოდ ერთის პირობით—ირლანდიის ჰომრული აღიარებულ უნდა იქმნეს. წვრილმანებში შეიძლება კომპრომისიც". რედმონდის აზრით ჰომრულის საკითხი გადაწყვეტილია: ორჯელ მიღებულია ბილი ქვედა პალატაში. კარსონმა პასუხი მოათავსა გაზეთებში, სადაც უარს ამბობს შეთანხმებაზე და თან დასძენს: ირლანდია უნდა დარჩეს საიმპერიო პარლამენტის ხელქვეშ და პარლამენტის წინაშე პასუხის-მგებელი აღმასრულებელი მთავრობა უნდა განაგებდეს ირლანდიასო. ეს კი ჰომრულის პრინციპების სრულს უარყოფას უდრის.

საბერძნეთის მეფე ათინაში წავიდა.

ენისეის შესართავიდან დაბრუნებული გემი „კორექტი" იმენგემში მივიდა. გემი დატვირთულია დათვისა და თხის ტყავებით, ცხენის ტყავით, სელის ნაძეძებით, გრაფიტითა და სხვა და სხვა საქონლით.

**სტამბოლი.** ოსმალეთ-ბულგარეთის ხელშეკრულებით დადგენილია შემდეგი: ათის დღის ვადაში ორმა მხარემ ჯარი უნდა გაიყვანოს დათმობილ ტერიტორიიდან. სამ დღეში უნდა მოხდეს დემობილიზაცია. განახლდება დიპლომატიური მოლაპარაკება და ფოსტისა და რკინის გზებზე მიმოსვლა. ტყვეთა გაცვლა ოვის განმავლობაში. ხარჯი დაეკისრება იმ სახელმწიფოს, რომლის ხელშიაც ტყვეები იმყოფებიან. ორ კვირაში უნდა გამოცხადდეს ამნისტია ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთათვის, ხელშეკრულების წინ ჩადენილ საქმეებისათვის.

მკვიდრნი მცხოვრებნი იმ ადგილებისა, ბულგარელების ხელში რომ გადადის, ბულგარეთის ქვეშევრდომებად ჩაითვლებიან; ოთხი წლის შემდეგ მათ ნება ეძლევათ, ოსმალეთის ქვეშევრდომობას დაუბრუნდნენ. ბულგარეთის ქვეშევრდომებად აღიარებული მაჰმადიანები 4 წლის განმავლობაში სამხედრო ბეგრისაგან თავისუფალნი არიან. ხალიფის სახელი მოიხსენიება მაჰმადიანთა სახალხო ლოცვების დროს. ბულგარელებს ოსმალეთში სხვა ქრისტიანებთან ერთად თანაბარი უფლება ენიჭებათ. ოსმალეთის უფლება და მოვალეობა აღმოსავლეთ რკინის გზის თაობაზე, ეხლა რომ ბულგარეთს დაეთმო, ბულგარეთის ხელში გადადის. ლონდონის კონფერენციის დადგენილებანი ძალაში დარჩებიან, გარდა იმისა, რაც ეხლანდელი ხელშეკრულებით იქნა შეცვლილი.

ზავის ჩამომგდებ კონფერენციის უკანასკნელ კრებას დაესწრო დიდი ვეზირი, რომელმაც კონფერენციის წევრებს მუშაობის დასრულება მიულოცა. უპასუხა სავოვმა. ბულგარელი დელეგატები მიდიან სტამბოლიდან. დარჩება მარტო ტეშოვი, რომელიც მოლაპარაკებას გამართავს სავაჭრო ხელშეკრულების დადების თაობაზე.

**ბელგრადი.** ბაირამცუტმა დიაკოვიცის და იპეკის რაიონების მცხოვრებ არნაუტებს მოსთხოვა თითო კომლზე ჯარისკაცი გამოეწვიათ ხუთ დღეში. თუ მოთხოვნას არ შეასრულებდნენ, მცხოვრებთა ამოხოცვას და ქალაქების გადაწვას ჰპირდებოდა. მავროვიდან გასულმა არნაუტებმა დასწვეს სოფლები, ამოხოცეს ქრისტიანები და არნაუტებიც, რომელნიც მათ არ შეუერთდნენ.

**ხკოპლე.** 300 კაცისაგან შემდგარმა ბულგარელების რაზმმა დაიჭირა ოხრიდა, ხოლო 15 სექტემბერს სტრუგა. რაზმის უფროსმა გამოუცხადა ოხრიდის მცხოვრებთ—ესადაფაშა ჩამოვა და ბიტოლს დაიჭერთ, სადაც მაკედონიის ავტონომიის გამოვაცხადებთო. სამი ათასამდე ალ-

ბანელი დიუმიდან პრიზრენში მიდის.

**სოფია.** რადოსლავის პარტიის ორგანო: „ნაროდნი პრავა“ ალბანელების აჯანყების ეხება და ამბობს: ეხლა ბულგარეთს შეუძლიან ჯავრი ამოიყაროს უმწეო მდგომარეობაში მყოფ სერბიაზე, მაგრამ ბულგარეთის მთავრობა თავს იჭერს, რადგან ღრმად არის დარწმუნებული—ბალკანეთის საკითხი ჯერ საბოლოოდ არ გადაწყვეტილაო.

**რომი.** გამოქვეყნდა დეკრეტი პარლამენტის დათხოვნისა და 13 ოქტომბრისთვის ახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე. პარლამენტი მოწვეულ იქმნება 14 ნოემბრისთვის. დეკრეტს მთავრობამ წაუმძღვარა მოტივები პარლამენტის დათხოვნის გამო. თან აღნიშნავს დიდმნიშვნელოვან რეფორმების მიღებას პარლამენტის მიერ, უთითებს იმ ენტუზიაზმს ლივიაში მიღებულმა ღონისძიებებმა რომ გამოიწვიეს ხალხსა და პარლამენტში. მთავრობა აცხადებს, ლივიის ოკუპაციამ ხელი ვერ შეუშალა იტალიის მოქალაქობრივსა და ეკონომიურს აღორძინებას, პირიქით გააძლიერა. იტალიამ ეხლა შიდა ლივია უნდა შემოიერთოს და უზრუნველჰყოს მცხოვრებთათვის თავისუფლება სარწმუნოებისა, ჩვეულებათა და ადათებისა და ცივილიზაციის ნაყოფი გაავრცელოს. მთავრობა სოციალურ რეფორმების განხორციელებასაც პირდება. იტალიის საერთაშორისო მდგომარეობა საუცხოოაო, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება დიდ სახელმწიფოთა ძალთა თანასწორობით. ამის მიხედვით იტალია ეცდება გააძლიეროს თავისი ძალები ზღვასა და ხმელეთზე. ამასთან იტალია მხედველობაში მიიღებს სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობას და არას დროს არ გასწევს ზედმეტ ხარჯს, რაიც სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებას ტვირთად დააწვებოდა. დატოვებულია ორი წლის ვადა სამხედრო სამსახურისთვის, მაგრამ მთავრობა აპირებს „ვოლნო-ოპრედელიაშჩების“-თვის ერთი წლის სამსახური გაუქმდეს. მომავალში ბიუჯეტის გასაძლიერებლად რომ მთავრობას ხარჯი დასჭირდეს, მთავრობა გადასახადებს არ მოუმატებს შეუძლებელ კლასს.

**სერბერი** (აღმოსავლეთ პირენეების დეპარტამენტი). სეტყვისა და ძლიერი ქარის დროს მდინარეები ნაპირებისაგან გადმოვიდა. მეხმა სამი კაცი მოკლა. მეხისაგან ბევრს სახლს ცეცხლი წაეკიდა, 7 კაცი უკვალოდ დაიკარგა. დასახიჩრებულთა რიცხვი ბევრია.

**სპოლეტი.** ხოლერისაგან ერთი კაცი გარდაიცვალა.

**კალკუტა.** კოლეჯის ბაღში სალამოს მოკლეს უფროსი კონსტებლი სანაპუდ-ბეი. სამი ბენგალელი—მკვლელები მიიმალნენ. ფიქრობენ, მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდაო.

**რიო-დე-ჟანეირო.** მინისტრთა საბჭომ გასწყვიტა გარეთან წებოზე გადასახადი დააკლოს. მთავრობა ენერგიულად მუშაობს შემოსატან საქონელზე გადასახადი დააკლოს.

**სერბერი.** ჩამოიქცა სამი სახლი, რომელთაც მეხისაგან ცეცხლი გაუჩნდათ. მოკლულია 8, დაჭრილა რამდენიმე კაცი. წყალდიდობის გამო რკინის გზაზე მიმოსვლა შეჩერებულია.

**ვენა.** ტიროლის „ნამესტნიკმა“ წინადადება მისცა სამხრეთ ტიროლელებს, დაითხოვონ იტალიის ქვეშევრდომი მოხელენი.

**პარიზი.** „ტანის“ თანამშრომელს პაშიჩმა განუცხადა: სერბია იძულებული გახდა ალბანეთში სტრატეგიული ადგილები დაეჭირა სერბიის დასაცავად. სერბია ცდილობს ალბანეთის საზღვარი შეასწოროს, რაც პაშიჩის აზრით, წინააღმდეგობას არავისაგან გამოიწვევსო.

**იოჰანისტალი,** ავიატორი საბლატნიკი სამი მგზავრით 2830 მეტრის სიმაღლეზე ავიდა. ამ სიმაღლეზე არავის უფრენია.

**მარსელია.** მერსინელში ტრამვაის დაჯახებისაგან 12 კაცი მძიმედ დაშავდა.

**რ უ ს ე თ ი.**

**კიევი.** ქალაქების წარმომადგენელთა კრებამ ერთხმად აღიარა, პოლიციის და ჯარისთვის ბინის შესანახი ხარჯები, ქალაქებს რომ დაეკისრა, ქალაქებისა და საერთოსახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ვერ გამართლდება. წესიერი და მიზან-შეწონილი კანტროლის არსებობისთვის, კრებამ სასურველად სცნო ქალაქის გამგეობისაგან დამოუკიდებელ კანტროლის დაარსება, და ამისთვის საჭიროდ უნდა შეიცვალოს საქალაქო დებულებაო.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს მე-254 ნომერი „რეჩი“-სა სტატია: „ნაბოკოვი“-სთვის.

სახალხო განათლების სამინისტრო აპირებს გამართოს საგუბერნიო და სამაზრო კრებები ერობებისა, ქალაქებისა და წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით საშუალო სასწავლებლების გახსნის გეგმის შესამუშავებლად.

უფროსი საექიმო ინსპეკტორი მალინოვსკი იალტიდან იტყობინება დეპეშით: მიღებულია ღონისძიებანი ხოლერის შემოტანის წინააღმდეგ შავი ზღვის სამხრეთ ნაპირებში. ყირიმში შემოსული გემები სანიტარულ კომისიის მიერ დათვალიერებულ უნდა იქმნენ.

**პოლტავა.** ერობის საავადმყოფოში ამ ჟამად 14 ხოლერიანია.

**ვერნი.** გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო კრება.

**ნოვოროსიისკი.** ზღვა ღელავს. დაიღუპა იალქნიანი ნავი. დაიღუპა ადამიანები.

**კიევი.** ხარკოვის ბანკის სახელის ყალბი ქაღალდების გამკეთებლები—3 კაცი დაიჭირეს. უპოვეს 56 ათასი კუპონი.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გამოეცხადოს სილნაღში მცხოვრებს, გიორგი (იგივე ჟორჟიკა) ნიკოლოზის ძეს ხელაშვილს, რომელმა რწმუნებულს ჩემდამი, კაბალზე ახლად გადმოსახლებულ იმერლების ეკლესიას შემოსწირა შემდეგი საეკლესიო წიგნები და ნივთები: 1) ჟამნი ქართული, 2) კონდაკი რუსული, 3) პასხალია ქართული, 4) ლოცვანი ქართული, 5) დავითნი რუსული, 6) დავითნი ქართული, 7) სახარება — სამოციქულო რუსული, 8) ლოცვანი, 9) კონდაკი, 10) სახარება, 11) მარხვანი, 12) ზადიკი ქართული, 13) ოლარი და წმინდა საიდუმლოს მოწყობილება და 14) ხის პატარა საუცხოვო ხელოვნების ჯვარი.

მღვდელი დავით გოცირიძე.

ბ. რედაქტორო! ადგილობრივ გაზეთებში ამ ბოლო ხანებში რამოდენიმე შენიშვნა დაიბეჭდა შესახებ იმ დეპუტაციისა, რომელიც ამას წინად ოზურგეთის მაზრიდან იყო ქ. თბილისს გაგზავნილი და რომელიც წარუდგა კიდეც მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელს.

მაგალითად, ქართული გაზეთის „იმერეთი“-ს 125-ში ამის შესახებ, სხვათა შორის, შემდეგია ნათქვამი:

„გაზეთებში მოთავსებული ცნობა, ვითომც დეპუტაცია წასულიყოს ნამესტნიკის მოადგილესთან, რომ გლეხებს გადასახადი შეუმცირდესო, სიმართლეს მოკლებულია. ხსენებულ დეპუტაციას ამის ნაცვლად შუამდგომლობა აღუძრავს: გურიის ყველა პოლიციელი თავის ადგილზე დასტოვეთ, რადგან დამნაშავე არაფერში არიანო“.

რადგან ეს ცნობები, მართლაც რომ, სიმართლეს მოკლებულია, ფაქტები გადამახინჯებულია და თანაც მცხოვრებთა ზოგიერთ წრეში უსიამოვნებას იწვევენ, ამიტომ გთხოვთ ნება მომცეთ მე, როგორც დეპუტაციის ერთ-ერთ წევრს, სიმართლის აღსადგენად მოგახსენოთ, როგორც იყო საქმე. ნამესტნიკის მოადგილესთან გლეხების გადასახადის შემცირების შესახებ მართლაც რომ არავითარი შუამდგომლობა არ აღგვიძრავს და საკვირველიც იქნებოდა ასეთი შუამდგომლობის აღძვრა, რადგან გლეხებისაგან ამის მინდობილობა ჩვენ არა გვქონია.

დეპუტაციის მოვალეობა მხოლოდ და მარტო ის იყო, რომ ნამესტნიკის მოადგილისათვის ეთხოვნა, განკარგულება მოეხდინა იმ გაუგებრობის გამოსარკვევად, რომელიც გამოიწვია მიწის ბეგარის წლევანდელმა განაწილებამ კერძო მიწათ მფლობელებში. წლევანდელი ბეგარა რაღაც მიზეზით, შედარებით შარშანდელთან, ერთი სამად გადიდებულია. ეს ჩვენ მიერ აღძრული შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნა და გამოგვეცხადა კიდეც, რომ ამის შესახებ სათანადო განკარგულებას მოვახდენთო.

ამითი დასრულდა კიდეც მთელი ფუნქცია დეპუტაციისა. არავითარი შუამდგომლობა ოზურგეთის მაზრის პოლიციელთა თავის ადგილზე დატოვების შესახებ დეპუტაციას არ აღუძრავს და არც შეეძლო აღეძრა, რადგან მას ამისთვის არავითარი კანონიერი მინდობილება არა ჰქონია.

კ. ერისთავი.

## შემოწირულება

სია საყვარელ მგოსნის ი. ევდოშვილის—პატივცემულთა და ნაცნობთა, რომელთაც გამოიღეს წვლილი მის სასარგებლოდ ქ. ბათომში: ს. მოავანი, პლ. გაგინეიშვილი სამ-სამ მანეთი: გ. ნიკიტინი, დ. კანდელაკი, ნიკო ჯაყელი ორ-ორი მანეთი: მირონ ვასილის ძე ომიაძე, 1 მან. 10 კ., მიხ. ლოლუა, ნინა (ჯუ ნუნა), ცინცაძე, ავქსენტი შაქარაშვილია, ს. მარგველაშვილი, ს. ჭანტურია, ივ. მგალობლიშვილი, ნინო ბერძენიშვილისა. სამს. რუხაძე, ვ. დოლიძე, №№, ევ. ბერძენიშვილი, ივ. მგელაძე, მაქს. ქეიშვილი, ს. ყუფარაძე, გ. ავალიანი, ვ. ელიაშვილი, ნ. დგებუაძე, იასონ სირაძე, გ. დ. ელიავა, კ. არუთინოვი, პ. დ. გამყრელიძე, ლ. ქიქოძე, დომენტი არონიშიძე თითო-მანეთი. კ. გიგაშვილი 60 კაპ., დ. ჩიჩუა, გამსახურდია, კ. ლოლუა, კოლე თავბერიძე, შეფარიშვილი, არ. ჩიხლაძე, ილარიონ სიხარულიძე, მ. სიმონიძე, ა. ბ—ძე, ა. ოსილაშვილი, კ. კუკულაძე, კ. ჭინჭარაძე, №№ ათ-ათი შაური. გუჯაბიძე 40 კაპ., ილარიონ ანდღულაძე 25 კაპ. სულ 43 მან. 85 კაპ.

პატივ. თამარი ივანეს ასული და კირილე მიხეილის ძე მგალობლიშვილი

ჩვენ, ქვემო რაჭველები, სათაყვანებელ მგოსანს იორდიონ ევდოშვილს, ვისურვებთ განკურნებულიყოს იგი სენიდან და მინიჭებოდეს ხანგრძლივი ჯანსაღი სიცოცხლე. ამასთანავე წარმოვადგენთ რაჭაში შეგროვილ წვლილს.

სია შემომწირველთა: კ. წულეისკარმა 2 მ., აბრამ ჩილინგაროვ ბერძენია) 1 მ. 50 კ., თითო მანეთი: გიორგი ჭანტურიამ, ვანო ჭიჭინაძემ, ალ. ფოფხაძემ, მიშა ვასილიევმა, მღვდ. ფილიპე გოცირიძემ, ბლ. მღვ. იოანნე კანდელაკმა, მ. ჩიკოძემ, მღვდ. იასონ შარაბიძემ, ტიფო გოგელიამ, არქიპო მაჭარაძემ, ხარიტონ საყანელიძემ. ათ-ათი შაური: ტრიფონ გურგენიძემ, გიგო კობერიძემ, ივანე კაციტაძემ, აფრასიონ პეტრიაშვილმა, კ. ჭიჭინაძემ, ყალაბეგიმ, პლატონ ამაღლობელმა, ტრიფონ სალახავამ, ალექსანდრე მირიმანოვმა, №, მ. სირაძემ, სევერიანე ენუქიძემ, უცნობმა, სილიბისტრო ჭელიძემ, ილიკო ჩლაიძემ 40 კ., კოლია ჯაფარიძემ 30 კ., აბელ კიკოშვილმა 25 კ. თითო-თითო აბაზი: ლევან გოცირიძემ, ანთიმოზ ელბაქიძემ, სოფრომ აგლაძემ, ბ. კერესელიძემ, გიგო ბიჭაშვილმა, იასონ კერესელიძემ, მახარა ვალიკოვმა (ბერძენია), მიხეილ დარახველიძემ, ალექსანდრე ჭელიძემ, ირაკლი გომელაურმა, ბესარიონ შარაბიძემ, დივანოზ გოგობერიშვილმა, გედევან ნატბელაძემ, სიმონ ნიკოლაშვილმა, დიომიდე ცხვირაშვილმა. სამ-სამი შაური: იასონ იაშვილმა, მიხეილ საგანელიძემ, პრინცამ ორ-ორი შაური: გიორგი აგლაძემ, ბარნაბა ლოლაძემ, როსტომა საგანელიძემ, გალაკტიონ ჯოხაძემ, ესტატე გობიჩვაძემ, ევგენი უთმელიძემ, აპოლონ გონაძემ, მიხა ყოყუაშვილმა (ებრაელია), ვარლამ ხიდურელმა, ა. ომანიძემ, ალექსანდრე კაბილაძემ, ვლადიმერ გამყრელიძემ, კარგო ბერუჩაშვილმა (სომეხი).

სულ შესდგა 27 მან. და 20 კ.

ვანო ჭიჭინაძე და მიხა ლომთაძე.

რედაქტორი ა. ჩუმბაძე.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.


## მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)

18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საბ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზ. ჩქარ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 16 წ., № 67,ბ **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** საფ. № 4.3, შუადღ. 12 ს 51 წ.

**ყარსისკენ:** საბ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24.23, **საბარგ.-სამგზ** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 **მ. ფომინა-თხინვალისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქვრ. ლ. ქალანთაროვისა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709)

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არ ღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საგანგებო პოლიციის კანტორებში: ვერის ხიდთან, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიკის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

### „606“ და „914“

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. მ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**კ დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. სადამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. აგეტისიანცი:** 6—7 საათ.

რიგვა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

## ქალაქის საავადმყოფოები

**მიხაილო**—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—14.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შაგერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათევოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **ზ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715). |
| 8—9 | **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გუნიბის ქ., № 23. |
| 10, 11—12 | **ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 935). |

## ფეხსაცმელები თომა დ. ჯანყარაშვილის

**მაღაზია-სახელოსნოში,**
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი:
**საკუთარი და პეტერბ.**
მექანიკური ნაწარმოები. 527



## მასწავლებელი სიმ. ა. გრიაზნოვი

ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასსისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე, სააფთიაქო შეგირდად და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.

ადრესი: ვერა, იზმაილოვის მიახვევი სახ. ნ. ბინა 8. 584.

**ექიმი** ა. გ. სოლოღაშვილი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

**ექიმი** გ. მუსხელიშვილი 1 მარიამობისთვიდან მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 76.

## ვასწავლი

ქართულ „სიმღერა-გალობას“ და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზე, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით 3—5 საათამდე. ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 ს-მდე. ავჭალის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში,** სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 1448



1168

**ოქროს მედალი** **ოქროს მედალი**





## მ ა კ ლ ი ე რ ი
## მოსკოვის საქარხნო საწყობისა ვლადიმერ ალპატოვისა

GRAHD-PRIX

ო. მ. უნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნო 8 კ. და უფრო მეტიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

**უფლებიანი** **სავაჭრო სკოლა** **უფლებიანი**
**და საბუღალტრო კურსები**
## ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა,

ნახვა შეიძლება დღის 8—2 საათამდე, სკოლაში, თუმანოვის ქ. № 13, და საღამოს 5—8 საათ. კურსებზე მიხეილის პროსპ., № 53. 615

## სარდაფი „შვეიცარია“ საკონდიტერო

ლორის-მელიქოვის ქუჩიდან, № 6, გადავიდა გიორგიევის ქუჩაზე № 1, სახლი მირიმანოვისა, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ახლად და მშვენიერად განახლებულ სადგომში: **სანოვაგე ახალი, ხელმისაწვდომ ფასად.**
მოგვდის ყველა გაზეთი. 621

**საბუღალტრო კურსები**
## გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა

ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**
## საბუღალტრო კურსები
## ნ. ვ. აბრაამიანისა

(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე სწავლა 4 თვე გარძელდება.**

მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანითბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.

**ატესტატები** სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისათვის და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე. და საღამოს 5—7 საათამდე.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თაომდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.

პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1433.

## მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი
## ძმ. ...
## ძმზვლოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9
ტელეფონი № 712.

**ახალ-ახალი**
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი**
## ხიზილალა ქიტკა
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგილები და სხვა ყოველნაირი თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა და **კონსერვები.**